

კონსტან-ლუი-ალექსანდრ დე სიუზანე, „კავკასიის პროვინციები რუსეთის ღომინირების ქვეშ“

Comte de Suzannet. Les provinces du Caucase sous la domination russe. Revue des Deux Mondes, 4ème série, tome 26, 1841

La société de Tiflis ne se compose que de généraux ou d'employés du gouvernement. Les familles géorgiennes, en très-petit nombre, n'admettent pas les étrangers dans leur sein; elles donnent seulement, à d'assez longs intervalles, quelques grandes réunions que le général en chef est prié de présider. J'assistai à un de ces dîners monotones et sérieux, comme tous ceux où les Géorgiens se trouvent en présence des Russes, qui croient faire honneur aux habitants en venant s'asseoir à leur table. Le caractère des deux peuples est si distinct, il y a entre eux si peu de liens d'affection, que je ne comprends pas qu'ils cherchent des occasions de rapprochement. Les Géorgiennes des premières familles parlent le français plutôt que le russe, mais elles n'ont ni instruction ni conversation; je puis, sans trop de sévérité, dire que les femmes russes que j'ai vues à Tiflis méritent toutes les mêmes reproches. Heureusement je pouvais, en causant avec quelques officiers, recueillir des détails curieux et intéressants sur l'administration et la marche générale des affaires. Je n'eus donc point à regretter une conversation avec des femmes qui se croient grandes dames sans justifier cette prétention ni par l'éducation ni par les manières. (92)

[ტიფლისის] საზოგადოება მხოლოდ გენერლების ან სახელმწიფო მოხელეებისგან შედგება. მეტად მცირერიცხოვანი ქართული ოჯახები თავიანთ წიაღში არ იღებენ უცხოელებს; ისინი მხოლოდ საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვალებით მართავენ დიდ შეკრებებს, რომელთა ხელმძღვანელობას მთავარსარდალს სთხოვენ. მე დავესწარი ერთ-ერთ ისეთ ერთფეროვან და სერიოზულ ვახშამს, სადაც ქართველებიც იყვნენ რუსებთან ერთად, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მოსახლეობას პატივს სდებენ მათთან ერთ მაგიდასთან ყოფნით. ამ ორი ხალხის ხასიათი იმდენად განსხვავებულია, მათ შორის იმდენად ცოტაა საერთო, რომ ჩემთვის გაუგებარია მათი დაახლოების შესაძლებლობის ძიება. უწარჩინებულესი ოჯახების ქართველი ქალები უფრო ფრანგულად საუბრობენ, ვიდრე რუსულად, მაგრამ მათ არც განათლება აქვთ და არც საუბრის წარმართვის ცოდნა; ზედმეტი სიმკაცრის გარეშე იმის თქმაც შემიძლია, რომ ტფილისში მყოფი რუსი ქალებიც იმავე საყვედურს იმსახურებენ. საბედნიეროდ, მმართველობისა და საქმეების საერთო ვითარების შესახებ ოფიცრებთან საუბარში ფასეული და საინტერესო ცნობების შეგროვება შევძელი. ამიტომ არ მქონდა საფუძველი მენანა საუბარი იმ ქალებთან, რომლებსაც თავი დიდგვაროვან მანდილოსნებად მიაჩნიათ, მაგრამ ამ განცხადებას ვერც განათლებით ამართლებენ და ვერც მანერებით.

On me raconta, pendant mon séjour à Tiflis, un fait qui donne la mesure de la tolérance religieuse des autorités. Une pauvre femme de la religion grecque, fit appeler, dans ses derniers moments, un (92) prêtre catholique, abjura entre ses mains la religion qu'elle avait professée plutôt par habitude que par conviction, et mourut catholique. Malgré le profond mystère dont cette abjuration avait été entourée, le gouvernement finit par en avoir connaissance; on déclara au prêtre que, si jamais il se trouvait mêlé à quelque nouvelle conversion, on l'enverrait en Sibérie. Le gouvernement russe tend à l'unité de

religion, il veut, réunir dans une seule main tout le pouvoir temporel et spirituel; tout homme qui ose arrêter sa marche est un ennemi qu'il faut anéantir. (93)

ტფილისში ყოფნის დროს მიაშვს ერთი ფაქტის შესახებ, რომელიც ხელისუფლების რელიგიური შემწყნარებლობის ხარისხს გვაუწყებს. ბერძნული რწმენის მიმდევარმა ერთმა საწყალმა ქალმა სიკვდილის წინ კათოლიკე მღვდელი იხმო, მის ხელში უარყო თავისი რელიგია, რომელსაც უფრო ჩვევის გამო მისდევდა, ვიდრე რწმენით და კათოლიკედ გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უარყოფა ძლიერ გასაიდუმლოებული იყო, მთავრობამ ეს მაინც შეიტყო, მღვდელს კი გამოუცხადეს, რომ თუ ოდესმე კიდევ მიიღებდა მონაწილეობას ასეთ საქმეში, მას ციმბირში გაგზავნიდნენ. რუსეთის მმართველობა ერთიანი რელიგიისკენ ისწრაფვის და სურს, ერთ ხელში მოაქციოს საერო და სასულიერო ხელისუფლება; ყოველი ადამიანი, რომელიც გაბედავს მის შეჩერებას, მტერია, რომელიც უნდა განადგურდეს.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყეზიამ)